



ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 1730
18/07/2019

1730-02-4-201907181748



ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 აპრილის N27 დადგენილების მე-6 მუხლის საფუძველზე ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს დღის წესრიგი.
2. დღის წესრიგით განსახილველ საკითხებად განისაზღვროს:
 - ა. ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს სხდომის გახსნა (მომხს. ონის მუნიციპალიტეტის მერი-ემზარ საბანაძე).
 - ბ. 2018 წლის 9 აგვისტოს გამართულ „შშმ პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს“ სხდომაზე 2018 -2019 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.
 - გ. „ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს“ 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით დავალებების გაცემა.
3. ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს სხდომა გაიმართოს 2019 წლის 19 ივლისს 10.00 სთ-ზე ონის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართ. დავით აღმაშენებლის ქ. N40).
4. ბრძანება გადაეგზავნოს ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს წევრებს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს თანახმად.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

